№ 89 8 აგვისტო, პარასკევი 1866—1875 8 აგვისტო, პარასკევი № 89

დროება

ГАЗЕТА „ДРОЭБА“

ГАМОЦДІС КВІРАОБІТ, ОТХШАБАТОБІТ ДА ПАРАСКЕВОБІТ

РЕДАКЦІА

მოლნინის (აბას-აბატის) მაედანზე, ულრლანოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულ ცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ., პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.

დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

კიდევ ქართულ თეატრზე

ამ გაზეთში ბევრი რამ თქმულა იმის დასამტკიცებელად, რომ ქართული სცენის გამართვა თფილისში ყოვლის მხრით სასარგებლო საქმე არისო, რომ იმ ზნეობით სარგებლობას გარდა, რომელსაც ქართული სცენა უეჭველად მოუტანს ჩვენს საზოგადოებასა და ლიტერატურას, პირ-და-პირი ეჭრული ანგარიშის მხრითაც სასარგებლო იქნება ამ საქმის ხელის მოკიდებაო.

ბევრი რამ თქმულა, მაგრამ ერთსაც კიდევ ვიტყვით, და ეს, იმედია, ურწმუნოებსაც დაარწმუნებს იმაში, რაშიაც დიდი ხანი უნდა დაჯერებულიყვნენ:

აქაურს თეატრის კასირს, რომელიც ეს ათი-ხუთმეტი წელიწადია ძალა-უნებურად ადევნებს თვალყურს ქალაქის თეატრის მდგომარეობას, რომელმაც ყველა ქართული წარმოდგენებისა და საზოგადოთ თეატრის საქმე კარგათ იცის, ერთის ვისმესთვის წინადადება მიუცია, რომ ქართული ტრუპპა შევადგინოთ და რიგიანი წარმოდგენები გავმართოთო.

ჩვენ არ ვიცით—მოიყვანს უფ. პეტროვსკი ამ აზრს სისრულეში, თუ არა. ჩვენთვის ყურადღების ღირსი მხოლოთ ის არის, რომ ეს ჰაზრი — ქართული ტრუპპის შედგენა ისეთის კაცის თავში დაიბადა, რომელმანც ზედ-მიწევნით იცის ერთის მხრით თეატრის საქმე და მეორეს მხრით ჩვენი საზოგადოების მოთხოვნილება.

უეჭველია, რომ ამ საქმეში უფ. პეტროვსკის მხოლოთ ეჭრული ანგარიში აქვს მხედველობაში; იმას კარგათ აწონილი და გამოანგარიშებული ექნება, რომ ქართული თეატრის გამართვა სასარგებლო იქნება ყველაზედ უპირველესად იმის საკუთარი ჯიბისათვის; გარეშე კაცი მხოლოთ ამ პირობით იფიქრებდა ამ გვარი საქმის ხელის მოკიდებასა. ეს ცხადია....

აი ნახავთ, თუ აქაც ისევ არ დაგვემართოს ჩვენ, როგორც საზოგადოთ ჩვენ ზოგიერთ მადნისა და მამულის პატრონებს ემართებათ: მოუხერხებლობისა და უთავბოლობის გამო, თვითონ ვერ ეკიდებთ ხელს, ვერ გვისარგებლნია და პირ-ღია უცდით, სანამ უცხო ვინმე უფრო გამჭრიახე კაცი არ გაჩნდება, არ დააფასებს ჩვენ სიმდიდრეს და ხელიდამ არ გამოგვაცლის. და როცა ეს უცხო კაცი გასაოცარათ იგებს, რამდენიმე წლის განმავლობაში მდიდრდება, მერე ენანობთ, მერე ეიწყებთ ჩივილს: რატომ ჩვენ თვითონ არ მოვკიდეთ ამ საქმეს ხელიო, რატომ თვითონ ჩვენ არ ვიგებთ, არ ვსარგებლობთო?!

თეატრის თაობაზედაც ამ გვარიეე მომავალი მოგველის: უფ. პეტროვსკი თუ არა, სხვა ვინმე უცხო ქვეყნელი გაჩნდება, ნათლად დაინახავს, რომ ქართული სცენის გამართვა სასარგებლო საქმეა, შეადგეს ტრუპპას და მთელ მოგებას ჯიბეში ჩაილაგებს.

მაგრამ ფულის მოგება იმდენი დასახარბებელი არ არის, როგორც ის, რომ ამ გვარი კაცი თვითონ სცენისა და საზოგადოებისათვის არაფერს ეცდება; იმას მხოლოთ იმაზე ექნება ყურადღება მიქცეული,—თუ როგორმე მომეტებული ფული მოიგოს და ოღონდ საზოგადოება ბლომათ დაიარებოდეს, და პიესების ღირსებას, საზოგადოების გემოსა და გონების გახსნას ის არ დაგიდევს.

ჩვენის ჰაზრით, ეს ისეთი გარემოებაა, რომელზედაც ურიგო არ იქნება, რომ ჩვენი მოწინავე კაცები, ჩვენი საზოგადოება დაფიქრდეს.

ს. მესხი

ДЛІУРІ

□ რუსულ გაზეთში („Русскій міръ“) მოყვანილია ანგარიში კავკასიაში ჩაყენებულის ჯარისა. ამ ანგარიშიდამ სჩანს, რომ ამ წლის დამდეგს კავკასიაში ყოფილა მომქმედი ჯარის: ღენერალი—24, შტაბ და ობერ აფიცერი—3,420, სალდათები—121,533 კაცი.

ამ რიცხვში არ არის მოხსენებული 20,000 ადგილობრივი ჯარი, რომდენიმე ათასი მილიაცია და სხ.

ამ ანგარიშის მოყვანის შემდეგ, ზემოხსენებული გაზეთი ამბობს:

„ამისთანა საშუალება კავკასიას იმ დროსაც არ ჰქონია, როდესაც იქ ომიანობა და ბრძოლა ჰქუხდა. ეს საშუალება იმედს გვაძლევს, რომ კავკასიაში მშვიდობიანობა არ მოისპობა. ამ საშუალებებით დაიმედებულს რუსის უფლებას ყოველთვის და მუდამ შეუძლიან წყნარად და ლმობიერად იმოქმედოს კავკასიის დასამშვიდებელად ისე, როგორც ღღემდი მოქმედებდა, და თამამად, მკაცრად შეაჩეროს ლტოლვილება იმ წვრილი ჩინოვნიკებისა, რომელთაც ერთი წარმოდგენით, რომ სადმე აჯანყება და უწესობა მოხდებაო, ტვინში საჩუქრები და სამსახურში წინ წაწევა ეხატებათ.“

□ თფილისის სავაჭო გიმნაზიის მთავრობა აცხადებს, რომ ეგზამენები ახლად მისაღები ყმაწვილებისათვის და აგრეთვე ხელ-მეორეთ ეგზამენიის დაჭერა ამ აგვისტოს 22-დამ დაიწყება და გაგრძელდება მუდამ ღღე, კვირას გარდა, 1 სექტემბრამდი. წელს ამ გიმნაზიაში მხოლოთ შემდეგი რიცხვის შაგირდების მიღება შეიძლება: მოსამზადებელი კლასის ორსავე განყოფილებაში—20 ყმაწვილის, პირველ კლასში—15, მეორეში—10, მესამეში—6, მეოთხეში—12, რამდენიმე ყმაწვილის მიღება შეიძლება აგრეთვე მეექვსე და მერვე კლასში, მეხუთეში და მეშვიდეში კი სრულიად ვაკანსია არ არის.

□ თფილისის საქალებო გიმნაზიისა და პროგიმნაზიის მზრუნველი რჩევა აცხადებს, რომ გიმნაზიაში ეგზამენები 1-სა და 4-ს სექტემბერს არის დანიშნული და პროგიმნაზიაში—2-სა და 5-ს. სწავლის ფასად გადახდებათ: საზოგადო საგნებისათვის—ოთხ თვეში—14 მან., უცხო

ფელეტონი

ლეონ გამბეტა *)

IV

1869 წელს იყო ამორჩევა ქანონმდებელ ქრების წევრებისა და როგორც ოპპოზიციური (მმართებლობის მოწინააღმდეგე) კანდიდატი—გამბეტა ორს ადგილს ამოირჩიეს: პარიჟში და მორსელში.

პარიჟელ ამომრჩეველებს გამბეტამ წარუდგინა, სხვათა შორის, შემდეგი პროგრამმა თავის პოლიტიკური ჰაზრისა:

„... ეკლესიებს უნდა მოესპოს სახელ-„მწიფო ხაზინიდან ჯამაგირი; სასულიერო „და სახელმწიფო საქმეების განცალკევება „ერთმანეთ შორის;

„სახელმწიფო ქალდებულია მისცეს გა-„ნათლება უსასყიდლოთ და ვალ-„დებულათ ყველა ფრანცუზს;

„მოსპობა საბაჟოებისა და აქციზისა; „გადასწორება გადასახადის სისტემისა;

„ქენჭის ყრით ამორჩევა „სრულ წლოვანი ფრანცუზისაგან „ყველა მოსამსახურე პირებისა, „ჩინოვნიკების;

„მოსპობა ჯარისა, როგორც მი-„ზეზი სხვა და სხვა ხალხებთა შორის სიძულვი-„ლისა, შიგ ქვეყანაში ეჭვიანობის და ურწ-„მუნოების დამნერგველისა ერთმანეთ შორის.

„მოსპობა შთამამავლობით უპირა-„ტესობისა და პრივილეგიისა, რომელიც „მხოლოდ ზარმაცობის მასწავლებელია.

„ეკონომიური რეფორმა....“

ეს იყო მისი პროგრამმა და ამ პროგრამმით წარმოსდგა პირველათ პოლიტიკურ ასპარეზზე.

შესვლისათანავე ქრებაში გამბეტამ სასიკვდილო მტრობა განუცხადა ნაპოლეონის მმართებლობას როგორც სიტყვით, აგრეთვე მოქმედებით. სამას დეპუტატში მარტო ოცდა-ათ კაცამდის იყვნენ რესპუბლიკელები. მაგრამ ამ ერთი მუჭა პარტიისაგან ისეთი მაგარი ძალა შეადგინა, რომ მმართებლობას ღღე და ღღე ეკარგებოდა თანამგრძნობლები.

იმან კარგათ იცოდა—თუ ვისთან და რა უსვინიდისო კაცებთან ჰქონდა ომი, ამისათვის ყოველივე საშუალებით სარგებლობდა, ოღონდ კიმტრისათვის ენება მიეცა და მოესპოს წყობილება მართებლობისა, რომლის მიზანი იყო თავისუფლების ძირიანათ ამოხოცვა და ქვეყნის გარყვნა.

როგორც ქრებაში, პროვინციებშიდაც, როცა შემთხვევა ნებას აძლევდა, გამბეტა სრულიად არ მალავდა ნაპოლეონის იმპერიის მართებლობის სიძულვილს და რესპუბლიკის სიყვარულსა. ამ ნაირი შემთხვევა მიეცა მას 1870 წ. ნიცაში, სადაც ერთს დიდ ძალს ყრილობაში წარმოსთქვა შემდეგი შესანიშნავი სიტყვები:

„თავისუფლების დამცველი საფრანგეთში „არის მხოლოდ ერთი ფორმა მმართებლობისა; „ეს ფორმა,—თქვენ არ მომცემთ ნებას, რომ „დავმალო, რადგანაც სათქმელათ ენაზე ამ-„დგას, რადგანაც ეს ჩემს გულშია,—ეს „არის რესპუბლიკური მართებ-„ლობა.“

ნაპოლეონსაც მოუვიდა უკანასკნელი დღეები. სიმართლე, მართლმსაჯულება ადრე თუ გვიან ყოველთვის სძლევს ბოროტებას. არ შეიძლება, რომ კაცს თვისი ცუდი მოქმედება შერჩეს დაუსჯელათ. რაც უფრო მძიმეა დანაშაული, უფრო ფაცხელია დასჯაცა.

ნაპოლეონსაც ბოლო მოეღო, კმაროდა მისთვის ოცდა ორი წლის უსამართლობა; მაგრამ მასთან ქვეყანასაც მიაყენა უკანასკნელი განსაცდელი და, თუ ამას როგორც იყო გადაურჩა, ამის ახსნა ვეძიოთ ხალხის გენიაში და სიცხოველეში, და არა მარტო ქვეყნის სიდიდეში და სიმდიდრეში.

*) „დროება“ №№ 87 და 88.

ენებისა და ტანციობის ფასი — 3 მან., ადგილობრივი ენებისათვის — 1 და მუზიკისათვის 15 მან.

□ ერევნიდამ და ბუმბრიდამ (ალექსანდროპოლიდამ) წელს ძალიან კარგ მოსავალს იწერებიან. ჩვენ გვატყობინებენ, რომ ბუმბრში ამჟამად ფუთი ხორბალი — შვიდ მაურზე ზევით არ ისყიდებაო. ქალაქში კი ფუთი ჯერ-ჯერათ ცხრა მაურათ ფასობს.

□ ყვირილიდამ გვწერენ, რომ ამ უკანასკნელ დროს საზოგადოთ შორაპნის მაზრაში ერთობ გახშირებულა ქურდობა და ავაზაკობა. ამას წინათ შიგ დ. ყვირილაში ერთი საწყალი დალაქი მოუკლავთ ავაზაკებს: ხუთი კაცი შევარდნილა ღამე იმის დუქანში, ერთს ხანჯალი დაუკრავს თავზე, დალაქს ხელი დაუფარებია; მაგრამ ხანჯალს ჯერ ხელი გაუგდებინებია და მერე თავი გაუპია.

□ ერთი მოქალაქე გვთხოვს, რომ გამოვაცხადოთ შემდეგი შენიშვნა: „წინა წლებში პოლიაცია მაწანწალა, უპატრონო ძაღლებს ხოცდა, და ამისთვის ქალაქის გამგეობა განსაკუთრებულ ფულს აძლევდა პოლიციას. დღეს კი სად გელი, ქეციანი ძაღლებით ჩვენი ქუჩები სავსე არის, ჯგუფ-ჯგუფათ დაიარებიან და კაცი იძათ ხელს არ ახლებს.“

„დროების“ კორესპონდენცია

სიღნაღი, 5 აგვისტოს

ჩვენს სიღნაღსაც ეღირსა ერთი მუზიკალური და ლიტერატურული საღამო!

ხუთი-ექვსი დღის წინათ სიღნაღის ბულვარზედ, ე. ი. ბაკის ბანზედ დაატარებდნენ რუსულათ დაწერილს აფიშას, რომელიც გვაცნობებდა, რომ სამ აგვისტოს იქნება ლიტერატურული და მუზიკალური საღამო.

სამს აგვისტომდინ დიდ-ძალი ბილეთები დაიყიდა, დაიყიდა უფრო იმ მიზეზით, რომ ბილეთებს ჰყიდდნენ აქაური ტუზები, და ძრიელაც ცდილობდნენ დაყიდვას, რადგანაც შემოსული ფული აქაურ ეკკლესიისთვის უნდა შეეწირათ, როგორც ხმა ისმოდა.

აი, მოვიდა მესამე დღე აგვისტოსი, მოვიდა რვა საათიც და შეიკრიბა ხალხი.

საღამო დაიწყო გალობით და ბევრი „ბრავო“ იყო. შემდგომ წაიკითხა რუსული ლექსები უ. ს—მა; მაგრამ რა წაიკითხა და როგორ — ამას ნულარ იკითხამთ. მეორე განყოფილებაში ისევ უფალმა ს. იგალობა რუსულათ; მითომ ბასობდა, მაგრამ საუბედუროთ მაქთენი არა ფერი გამოვიდა. შემდეგ კ-ჟნა თამარ ანდრონიკაშვილისამ წაიკითხა „ჩემი მერანი,“ დიახ კარგათ და ჩინებულათ. იოსებ და კნიაჟნა ნინო ანდრონიკოვის შვილებმა დაუკრეს ფორთოფიანოზე და სკრიპკაზე. მუზიკამ ძლიერ გაამხიარულა ხალხი და მართლაც ძლიერ მშვენიერათ დაუკრეს. ბოლოს ქართულათ წაიკითხა უფალმა შ. ნაცვალოვმა „ქალი რომელი თვეა?“ პირველათ არ იყო რომ ცოტათი შექრთა, მაგრამ მალე გამოიცვალა და წაიკითხა გარკვევით, გარჩევით, წყნარად და სიამოვნებით. როგორათაც კითხვა აგრეთვე ამორჩეული წასაკითხათ იყო ძრიელ მოსაწონი.

არ შემიძლიან არ გამოვაცხადო ნატერა (და ეს ნატერა მარტო ჩემი არ იქნება), რომ ამ გვარი საღამოები და ქართული წარმოდგენები უფრო ხშირად ღირსებოდეს ჩვენს მიყრუებულს სიღნაღსა.

სიღნაღელი

ს. ნუნისი, 4 აგვისტოს

ნუნისის სოფელი არის აღმოსავლეთისკენ იმერეთში, სურამის მთების სიახლოვეს, თითქმის ქართლისა და იმერეთის სამზღვარზე; ბეჟათუბნის რკინის გზის სტანციიდამ ხუთ-ექვს ვერსზე იქნება. სოფლის მდებარობა მთაგორიანია, მაგრამ შუაგულ სოფელში სწორი, ვაკე ადგილებიც იპოება. აქ ჩამოდის ერთი პატარა წყალი, რომელსაც ნუნისის ღელეს ეძახიან.

ნუნისში ძლიერ ცოტა მცხოვრებლებია და იმისთანა კაცებია გადმოსახლებული, რომელთაც სხვაგან სიცოცხლე გაჭირვებიათ ადგილის უქონლობისაგამო.

თუმცა ასე მცირე და გამოუჩინარია ეს სოფელი, მაგრამ თავისი მადნის წყლებით და ერთი ძველი დანგრეული ტაძრით დიდათ შესანიშნავია. იმერეთში და ქართლში ბევრი სოფლები დამიელია, მაგრამ იმისთანა კარგი შთაბეჭდილება არც ერთ სოფელს არ ჰქონია ჩემზე, როგორიც ამ სოფელმა მოახდინა.

სოფლის დასავლეთის მხარისკენ არის ერთი დიდი ხევი, რომლიდამაც დიდი ტყიანი მთები აღიმართება ორივე მხრით. შუაში ჩადის ერთი პატარა წყალი; წყლის პირებში გამოდის სხვა და სხვა ადგილას სხვა და სხვა ნაირი მადნის წყლები. ერთ ადგილას გამოდის მ ჟ ა ვ ე წ ყ ა ლ ი, რომელსაც ბევრი არაფერი გარჩევა აქვს რაჭის უწერის მჟავე წყლებთან. ეს ადგილი მეოთხე ვერსზე არის ბეჟათუბნის რკინის გზის სტანციიდამ.

მჟავე წყალში ურევია ცოტა ოდენი გ ო გ ი რ დ ი, რომლითაც, როგორც ვგონებ, უნდა გაირჩევოდეს რაჭის უწერის წყლებიდამ.

მეორე ადგილას არის გ ო გ ი რ დ ი ს დ ა რ კ ი ნ ი ს წ ყ ა ლ ი. ბოგირდის წყლებამდის იქნება ორი ვერსი მჟავე წყლიდამ. — ეს გოგირდის წყალი სამს ადგილას გამოდის და კარგა ბლომათაც, და თბილიც არის. ერ არგილას გამოდის კიდევ ცოტა რკინის წყალი.

ყველა ამ წყლებს, რკინის წყალს გარდა, ძლიერ ნამეტანი გოგირდის სუნი აქვს. ერთი ბუნებით და დაკვირვებით ეტყობა, რომ. ყველაზე ნაწილი ამ წყლებისა უნდა იყოს გოგირდი, ნაცრის წყალი (სჩოლოჩ) და ცოტა იოდი. ამას გარდა, რასაკვირველია, სხვა ნაწილებიც უნდა იყოს, მაგრამ მე არ მქონდა საშუალება ხიმიკურად გამერჩია.

მთებიც გარეშემო და წყლებიანი ადგილებიც ეკუთვნის ქართლელ აბაშიძეებს. როგორც ამბობენ, ექვსი მეპატრონე არიან, მაგრამ მეექვსედი ნაწილი ხაზინას ეკუთვნის. მადნის წყლებს აქნობამდისინ პატრონი არ ყოლებია. დღეს აღებული აქვს იჯარით გოგირდის წყლები, რვა თუმნად, ერთ იმერელ თავადიშვილს პაატა აბაშიძეს, და მჟავე წყალი ერთ ვიღაცა ჩრდილელ გლეხს ოთხ თუმნად წელიწადში. ამჟამად ეს წყლები მარტო მახლობელმა მცხოვრებლებმა თუ იციან, თორემ ვგონებ სხვაგან არა.

ეს აბანოები ისეთი კაცების ხელშია ჩავარდნილი, რომელთაც აბანოს ანგარიში სრულებით არ იციან. აქ დღეს მახლობელნი ხალნი დაიარებიან, მაგრამ რადგან თითო ქოხის მეტი არ არის, ძლიერ ძნელია ორსამ დღეს დადგომა. არც დუქანია ახლოს და არც გლეხები სახლობენ. ამისათვის წყლებით ვერ სარგებლობენ ისე, როგორც რიგია. ადგილის მდებარეობა, გოგირდის წყლებზე განსაკუთრებით, ძლიერ ცუდია და გზაც სიძ გელი. ეხლა აკეთებენ გზას, მაგრამ უპლანოთ და ცუდათ. რომ ამ წყლებს პატრონი ყავდეს, შენობები გამართოს და გზა გაიყვანოს, უეჭველია, მრავალ ხალხს მოაკლებს ბორჯომსა და აბასთუმანს.

ეს წყლები ჯერ არც ერთ ექიმს არ გამოუკვლევია და ვგონებ არც კი იცის ვინმე ექიმთაგანმა. საზოგადო მახლობელი ხალხის ხმა არის, რომ ეს წყლები ძლიერ არჩენს როგორი გვარიც უნდა იყო მუწუკს, ბუასილს და ქარებით სნეულს.

ამ წყეულმა კაცმა, თავის პირადი სარგებლობისათვის, პრუსიას შეატაკა საფრანგეთი მოუმზადებელათ და მისდა-დაუკითხავათ ისეთს ომში, რომლისაგან სხვა ხალხი, გარდა ფრანცუზებისა, იქნება ცოცხალიც ვერ გამოვიდოდა.

მაგრამ კიდევ ვიმეორებ, რომ უკანასკნელი დღე განკითხვისა მოუვიდა და ეს დღე გაუთენდა მას 3-ს სექტემბერს 1870 წ.

როცა პარიჟში გაიგეს, რომ ნაპოლეონი თავის ჯარით ნემცებს ხელში ჩაუვარდა, მაშინვე რესპუბლიკელებმა მოილაპარაკეს, თუ რა გზაზე უნდა დამდგარიყვნენ ამ შემთხვევაში და ერთხმათ გადაწყიტეს შეტანა ქანონ-მდებელ კრებაში შემდეგი წინადადებისა:

„§1. ლუი-ნაპოლეონ ბონაპარტეს და „მის შთამამავლობას ჩამოერთვა ის ღირსება „და უფლება, რაც მას ჰქონდა კონსტიტუ„ციის ძალით მინიჭებული;

„§2. ქანონ-მდებელი კრება ნიშნავს „კომისიას მმართებლობათ, რომლის დანიშნულება იქნება მტერთან ომის განგრძობა.“

კრებამ ყურადღება არ მიაქცია ამ წინადადებას. მაგრამ პარიჟი მათ გადაწყვეტილებას არ უცდიდა და სანამ მმართებლობა თავის თავსმჯდომარით პ ა ლ ი კ ა ო თ ი რამეს იზამდა, მინამ „Vive la République“-ის ყვირილით ქალაქის ქუჩებში ჩამოიარა.

იმპერია თავისით მოისპო, უძალოთ დ უსისხლოთ. იმპერატრიცამ ევგენიამ ჩაალაგა ბარგი და გასწია ინგლისისაკენ. მინისტრებმაც ჯიბის ამსება კი მოასწრეს. გაუდგნენ გზას, ვინც როგორ მოასწრებდა. ქანონ-მდებელი კრება და სენატი სად გაქრა — ღმერთმა იცის.

აი რა ბოლო მიეცა დესპოტიზმს. რესპუბლიკა წყნარად, უშფოთეველათ დაარსდა. ძველეს ნის მხიარულებას არ ჰქონდა სამზღვარი.

V

შემდეგ იმპერიის მოსპობისა, ე. ი. ოთხს სექტემბერს შესდგა დროებითი ახალი მართებლობა, რომლის დანიშნულება იყო მხოლოდ მტერთან ომის განგრძობა და საფრანგეთის დახსნა. შემდეგ თვით ქვეყანას უნდა ამოერჩია ნამდვილი წარმომადგენლები და ნამდვილი მართებლობა. „დროებით მართებლობას“ შეადგენდნენ შემდეგი პირები; ჟ ულ ფ ა ვ რ ი, ბ ა მ ბ ე ტ ა, ჟ ულ ს ი მ ო ნ ი, ა რ ა გ ო, კ რ ე მ ი ე, ჟ ულ ფ ე რ ი, ბ ა რ ნ ი ე პ ა ჟ ე, შ ლ ე ბ ი ზ უ ა ნ ი, პ ე ლ ტ ა ნ ი, პ ი კ ა რ ი, ღ ენ ე რ ა ლ ი ტ რ ო შ უ, რ ო შ ფ ო რ ი და ადმირალი ფ უ რ ი შ ო ნ ი.

ტროშუს გარდა ყველანი რესპუბლიკელები იყვნენ. როშფორი ამ დღემდის იმპერიის მართებლობისაგან დამწყვდეული იყო სატუსაღოში. პარიჟელ დემოკრატებმა განათავისუფლეს ყველანი, ვინც კი პოლიტიკურ საქმის გამო დაემწყვდიათ და მასთან, რასაკვირველია, როშფორიც.

ახალმა მართებლობამ ღენერალი ტ რ ო შ უ დასტოვა თავის წინანდელ ალაგზე, ე. ი. პარიჟის სამხედრო ღუბერნატორათ და მასთან გახადა მართებლობის თავს-მჯდომარეთ; სამი თავის წევრთაგანი: ადმირალი ფ უ რ ი შ ო ნ ი, კ რ ე მ ი ე და ბლე ბიზუანი გაგზავნა პროვინციებში როგორც მართებლობის წარმომადგენელნი, იმ ჰაზრით, რომ ამათ მოემზადებინათ ქვეყანა საომრათ, მოეკრიბნათ ჯარი და სხვა. მაგრამ ამ დელეგატების იმედი თითქმის არავის არ ჰქონდა; სამივე მოხუცებულებს, ამბა რა შეეძლოთ ამათ, რა ენერგიის გამოჩენა, რა მაგალითის ჩვენება ხალხისათვ-ს! აქ უნდოდა ენერგიის მქონე, ახალ გაზდა და დაუღალავი, უშიშარი და მარ-

მე გამოვიკითხე—თუ რათ ჰქვიან ამ სოფელს ნუნისი და აი რა მითხრეს გლეხებმა: ამ სოფელში წყლები ყოფილა და არის, რომელიც არჩენდა თურმე მუნს (ქეცს) და სოფელსაც „მუნისი“ დაერქვავო, მაგრამ ბოლოს ეს სიტყვა „მუნისი“ „ნუნისათ“ გადააკეთესო. რამდენათ მართალია ეს—არ ვიცი.

დიდი ხანი არ არის, რაც ეს წყლები უნახავსთ. ნუნისის სოფელში ერთ დროს მრავალი ხალხი ყოფილა და ეს წყლები მათ უხმარიათ. მაგრამ, როდესაც ხალხი გადაშენებულა, წყლებიც უპატრონოთ დაშთენილა. ბოლოს ხალხი მისულა ამ მთიან ადგილებში და თევზობის დროს ხელახლავ უპოვიათ მადნის წყლები მდინარე წყლის პირზე. რომ ძველ დროში მართლა ეს წყლები უხმარია ხალხს, ამტკიცებს ის, რომ ძველ დროში ნაკეთები ქვითკირის აუზი უნახავთ. წყლებიდამ ერთი ძველი გზა ყოფილა მთის განზე გაყოლებული, რომელიც მიდიოდა ამავე ნუნისის დიდ ეკკლესიაში, რომლისაც დღეს ძველი კედლების და ნანგრევების მეტი არა სჩანს რა.

X.

რუსეთი

✱ ს.-პეტერბურღის ერობის მომავალ სხდომაში, როგორც ამბობენ, შეტანილი იქნება ერთ წინადადება ერთის წევრისაგან, რომელიც ამ გუბერნიაში პირუტყვების გასაუმჯობესებელად, სხვათა შორის, ურჩევს ერობას, რომ თავის ხარჯით საუკეთესო ჯინშის საქონელი იყიდოს და თითო წყვილი დაურიგოს ყოველ სოფელში მოსაშენებელად.

✱ ამბობენ, რომ პეტერბურღში სდგება მოსამსახურე კაცებისა და ქალების არტელი, რომელიც თავიანთ ამხანაგებს ადგილებს უშოვნის. ბანსხვავება ამ არტელისა ის იქნება, რომ ყველამ, ვინც ამ არტელის წევრობის მოინდომებს და ადგილის შოვნას ისურვებს იმის საშუალებით, წინათვე—ქალმა 15 მანეთი და კაცმა 25 მანეთი უნდა შეიტანოს — იმის გირაოთ, რომ ისინი პატიოსნათ აასრულებენ თავის ვალდებულებას იქ, სადაც დ დგებიან მოსამსახურედ.

✱ „მოსკოვის უწყებებს“ შეუტყვია, რომ მთავრობა მალე ისეთი ახალი კანონის გამოცემას აპირებსო, რომლის ძალითაც ყველა ქარხნებისა და ფაბრიკების პატრონები ვალდებულნი იქნებიანო, რომ თავიანთ მცირე-წლოვან მუშებისათვის შკოლა გამართონო.

✱ ერთი რუსული გაზეთი გვაცნობებს, რომ უმაღლეს მთავრობას ახლა მოლაპარაკება აქვსო, რომ ყველა გუბერნიებში ისეთი შკოლა გამართოს ფერშლებისათვის, სადაც ვაჟებსა და ქალებს შეეძლოსთ აუცილებელად საჭირო საექიმო სწავლის მიღებაო.

✱ როსტოვში მომავალი წლიდამ გამოვა რუსული გაზეთი („დონის ფუთკარი“), რომლის გამომცემლად და რედაქტორად ორი სომეხია.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი. ნაციონალური კრების დაშლის წინათ, მარცხენა მხრის ყველა პარტიებს კრება ჰქონიათ, რომელზედაც მარცხენა ცენტრის თავსმჯდომარეს — ლაბულეს წარმოუთქვამს გრძელი სიტყვა შესახებ ახლანდელი საფრანგეთის მდგომარეობისა და რესპუბლიკური პარტიისა. ლაბულეს დიდ ხანს ულაპარაკნია იმაზე—თუ რამდენი დამსახურება მიუძღვის რესპუბლიკურ პარტიის გონიერებასა და ზომიერებას, რომ ახლანდელი კონსტიტუცია ამ პარტიის კეთილგონიერებით არის დადგენილი. და თუ გვინდა რომ საფრანგეთში წესიერება და მშვიდობიანობა არ მოისპოს, ფრთხილად, წინ დახედვით უნდა ვიმოქმედოთო. პარლამენტალურ ბრძოლისათვის კი ჩვენ ერთმანეთში თანხმობა, ერთმანეთის ხელის მიცემა გვმართებსო; თუ თანხმობით ვიმოქმიდებთ, უმრავლესობა ჩვენკენ იქნება პალატაშიო და მაშასადამე ნამდვილი მმართებლობაც ჩვენ ვიქნებითო.

პარიჟის გაზეთებში ამ სიტყვაზე ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ამ ჟამად. ერთი იმათგანი, სხვათა შორის, ამბობს ლაბულეზე და იმის სიტყვის თაობაზე: თუ ეს პოლიტიკური გაიძვერა კაცი, რომელიც მუდამ ძლიერ მხარესა და ძლიერი მმართებლობის მიკედლებას ცდილობს, თუ ეს ამისთანა სიტყვებს ამბობს, მაშ ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყვენეთო, რომ დღეს თუ არა, ხვალ მაინც, საფრანგეთის გამგეობა ნამდვილ რესპუბლიკელებს ჩაუვარდება ხელშიო.

ესპანია. ესპანიის ტახტიდამ გადაყენებულმა — იზაბელლამ თავის ვაჟს, ახლანდელ კოროლს დონ-ალფონს სთხოვა ამას წინათ, რომ ესპანიაში მოსვლისა და ცხოვრების უფლება მომეცეო. მაგრამ მინისტრების რჩევამ ამ თხოვნაზე უარის თქმა გადაწყვიტა. ამბობენ, ამის გამო დედასა და შვილს შუა ახლა უთანხმოება ატყდაო.

—ქარლისტების აჯანყების დამშვიდების თაობაზე ჯერ არა ისმის რა. ისევ გაუწყვეტელი შფოთია და სისხლის ღვრაო.

ოსმალეთი. თუმცა ოსმალოს ოფიციალურ გაზეთებში აცხადებდნენ ამას წინათ, რომ ბერცოგოვინაში სრული მშვიდობიანობა ჰსუფევს, ინსურგონტები დამორჩილდნენო; მაგრამ უცხო ქვეყნებიდამ კი სულ სხვას იწერებიან. არეულობა მთელს ბერცოგოვინას მოედოო, აჯანყებულებს რამდენიმე ათასი კარგი თოფი აქვთო და პირველი ქალ ქი ბერცოგოვინისა—ნევესინჯე ამ ჟამად იმათ ხელში არისო. ერთს—ავსტრიულს გაზეთში გამოცხადებულია პირობა, რომლითაც აჯანყებულები აპირებენ თოფ-იარაღის დაყრას და ოსმალოს დამორჩილებას: 1) შემდეგში არავითარი გადასახადი არ დაგვედვასო, 2) ახლანდელი ხარჯი უნდა შეგვიმცირდესო და 3) მოხელეები ჩვენთვის ისევ ჩვენგან უნდა იყვნენ ამორჩეულნიო.

— ზოგიერთს უცხო ქვეყნის გაზეთებში იწერებიან, ვითომც ბერმანიის, ავსტრიისა და რუსეთის მთავრობას ერთმანეთში მოლაპარაკება ჰქონდესთ ბერცოგოვინაში არეულობის თაობაზე და საზოგადოთ ოსმალოს საქმეებზედაო.

სავაჭრო

△ კავკასიის სამხედრო უწყებისაგან გამოცხადებულია დაწვრილებითი სია პროვიანტისა, რომელიც მომავალი 1876 წლისთვის უნდა დამზადდეს კავკასიის სხვა და სხვა ქალაქებში და სიმაგრეებში, სადაც კი ჯარებია დაყენებული. დაწვრილებითი პირობების შეტყობა ადგილობრივს სამხედრო სამმართველოებში შეიძლება და აგრეთვე „კავკაზში“ დაბეჭდილის განცხადებით.

△ კავკაზიის მაზრის საინჟენერო სამმართველო გამოიწვევს მსურველებს, რათა იკისრონ იჯარით შემდეგი მუშაობა ვლადიკავკაზში: შეკეთება ტენგინის პოლკის ყაზარმებისა, აშენება ახალის ერთი ეტაჟიანი ფლიგელისა ლაბორატორიისათვის და ზოგი სხვა წვრილმალი მუშაობა, რომლისთვისაც დანიშნულია 12,636 და 89 კაპ.

ვაჭრობა იქნება თფილისში ინჟენერის სამმართველოში აგვისტოს 11-ს.

△ იგივე ინჟენერის სამმართველო აცხადებს, რომ ასშერონის პოლკისათვის უნდა აშენდეს იშკარტში: ბანო — 5,280 მანეთად და სამლოცველი მკვდრებისათვის — 3,523 მანეთად.

ჯვე.—აქ უნდოდა ისეთი კაცი, რომელსაც შეძლებოდა მთელი საფრანგეთის მოძრაობაში მოყვანა და პატრიოტიული გრძნობის ანთება; აქ უნდოდა ისეთი კაცი, რომელსაც ნამდვილი ომის გაწევა შესძლებოდა და ქვეყანას ჰქონოდა მაზე იმედი, და არა ისეთი კაცები, რომელთ თითქმის ერთი ფეხი სამარეში ჰქონდა და ძლივს წელის გამართვა შეეძლოთ.

პარიჟის მართებლობა თავის შეცდომას მიხვდა მხოლოდ ორი თვის შემდეგ. ორი თვე ამ დროებაში ქვეყნისათვის ორი წელიწადი იყო, ორი თვე ტყვილათ დაიკარგა, მაშინ როდესაც ნემცებმა დაიპყრა თითქმის ყველა ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის პროვინციები, მესამედი საფრანგეთი, მაშინ როდესაც პარიჟი შამოზღუდა რკინის ჯაჭვით და ორი მილიონი კაცის სული თითქო სატუსალოში იყო დამწყვდეული თავის მართებლობით.

შეცდომას გასწორება უნდოდათ და ამისათვის ამ მოხუცებულების დასახმარებლათ გაგზავნეს პარიჟიდამ ბამბეტა. რადგან პარიჟის ირგვლივ ნემცების ჯარი იყო და მაშასადამე გასელა პარიჟიდან არავის არ შეეძლო, ამისთვის ბამბეტა შვიდს ოქტომბერს ჩაჯდა აეროსტატში და გასწია. ამ აეროსტატის სახელი იყო „Armand-Barbès“. როცა ბამბეტა ჰაერში მიქროდა, რამდენჯერმე პრუსიელებმა თოფი ესროლეს, მაგრამ მისმა და ქვეყნის ბედმა გადაარჩინა, და შემდეგ ბევრის განსაცდელისა, როგორც იყო ჩამოაწია ქ. ტურს, საცა დელეგატები იყვნენ.

მეორე დღეს ამ ქალაქშივე მოვიდა ღენერალი ბარიბალდი, რომელმანც გაჭივრების დროს საფრანგეთს თავის გამოცდილება და ხრმალი შამოსწირა.

ხალხმა ორივე აღტაცებით მიიღო, ორივესი იმედი ჰქონდათ და მასთან კარგათ იცოდნენ, რომ თუ რაიმეს მოხერხება შეიძლებოდა, ეს ორი კაცი თავს არ დაზოგვიდნენ.

ბამბეტას მოსვლისა თანავე, ყოველივემ სხვა სახე მიიღო. პირველი მისი სიტყვა იყო: „ვიმუშაოთ, ნუ ვკარგავთ დროს, ყოველი წამი სამშობლოთ გვიღირს.“ ორს უმთავრეს სამინისტროს ხელი მოჰკიდა, შინაგანი საქმეებისას და სამხედროს. მისი მოსვლა ქვეყანამ იგრძნო. ყოველივე მოძრაობაში მოიყვანა; ადმინისტრაციას ფიცხელი ბრძანება მისცა, რომ პოლიტიკური ჰაზრისათვის თავი დაენებებინათ და ყურადღება მიექციათ მხოლოდ სამშობლოს დახსნისათვის; საეჭვო მოსამსახურეები, ჩინოვნიკები გამოსცვალა და რესპუბლიკელები დანიშნა; ფული, თოფ-იარაღი და ჯარი უეცრათ გაიჩინა; არ გასულა ორი თვეც, ხუთას ათასი კაცი და ორი ათასი ზარბაზანი ნემცებს შეატაკა.

ევროპა განცვიფრებული იყო მის ენერგიაზედ და როცა მან დაამტკიცა თავის მეცადინეობით, რომ საფრანგეთი ჯერ არ დაღუპულა, რომ კიდევ არის მასში ცოცხალი ძალა, გარეშე სახელმწიფოებმა განუსაზღვრელი კრედიტი გაუხსნა და უეცრად ცარიელი არსენალები აუმსო...

ვინ იცის, იქნება საფრანგეთის ბედი მობრუნებულიყო, იქნება მტერი დამარცხებული დაებრუნებინა შინისაკენ, რომ კაცობრიობისაგან შეჩვენებულს და ნაპოლეონისაგან გარყვნილს მარშალს ბაზენს სამშობლოსათვის არ ეღალატნა და ნემცებისათვის არ გაეღო კარი უპირველესი ციხე-ქალაქის მეცისა და არ ჩაეგდო მათ ხელში უომოთ 175,000 კაცი, საუკეთესო და უკანასკნელი გამოცდილი ძველი ჯარი.

ოც-და-ორი წლის ნაპოლეონის ბოროტება მისმა საუკეთესო ღენერალმა მამულის ღალატით მოათავა. საშვილის-შვილოთ დარჩება ამ გვარი კაცების წყველა და სიძულვილი ხალხში...

(გაგრძელება) დ. დ.

ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ დანიშნულია ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ აგვისტოს 12-ს.

△ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲘᲜᲟᲔᲜᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲔᲕᲡ მსურველებს შემდეგი მუშაობის იჯარით მისაღებელად: ᲥᲣᲡᲐᲠᲐᲨᲘ უნდა დახურონ ახალის ჟესტის სახურავით ორი ყაზარმა, რომელშიაც შირვანის პოლკი დგას. ᲐᲛ მუშაობისთვის 16,060 მანეთი და 96 კაპეიკია დანიშნულია.

ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ იქნება ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ აგვისტოს 8-ს ᲘᲜᲟᲔᲜᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სადგომში.

△ მომავალი სექტემბრის 8-ს ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ გუბერნიის სამმართველოში დანიშნულია ვაჭრობა; გაისყიდება 1) ᲝᲠᲗᲐᲭᲐᲚᲘᲡ ორი სახელმწიფო ბაღი და 2) ᲑᲝᲠᲨᲘ ერთი სახელმწიფო დუქანი.

△ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ სამხედრო მაზრის ᲘᲜᲟᲔᲜᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ გამოიწვევს მსურველთა, რათა იკისრონ იჯარით აღება ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝ�პᲝᲚᲘᲡ ციხეში ზოგიერთი მუშაობისათვის, რომლისთვისაც დანიშნულია 61,066 მანეთი.

ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ იქნება ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ამ აგვისტოს 22-ს.

△ ᲒᲖᲘᲡ-ᲛᲙᲔᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲛᲘᲢᲔᲢᲘ (**Строительно — дорожный комитетъ**) გამოიხმობს მსურველთა, რათა იკისრონ იჯარით მოტანა ქვიშისა და დამტვრეული ქვისა სამი წლის განმავლობაში, 1876 წლის 1 იანვრიდამ ვიდრე 1879 წლის იანვრამდი რევენტისათვის ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ მრმოვნამდი ᲗᲝᲜᲡᲔᲡ გზისა და ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲪᲝᲚᲘᲡ გზის რტოთი ᲓᲔᲚᲘᲯᲐᲜᲘᲓᲐᲛ ᲒᲐᲛᲖᲐᲩᲛᲘᲜᲐᲛᲓᲘ, ხოლო 1877 და 1878 წლებში ᲒᲐᲛᲖᲐᲩᲛᲘᲜᲘᲓᲐᲛ ᲙᲐᲠᲐᲙᲚᲘᲡᲐᲛᲓᲘ. ᲛᲗᲔᲚᲘ გზა სამ ნაწილად არის გაყოფილი: 1) ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ ᲜᲝᲕᲝ-ᲐᲥᲡᲢᲐᲤᲘᲡ სტანციამდი, 2) ᲜᲝᲕᲝ-ᲐᲥᲡᲢᲐᲤᲘᲡ სტანციიდამ ᲓᲔᲚᲘᲯᲐᲜᲘᲗ ᲙᲐᲠᲐᲙᲚᲘᲡᲐᲛᲓᲘ და 3) ᲓᲔᲚᲘᲯᲐᲜᲘᲓᲐᲛ ᲔᲠᲔᲕᲜᲐᲛᲓᲘ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲣᲩᲐᲡᲢᲙᲐᲨᲘ საჭიროა: ა) ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ ᲡᲐᲚᲐᲜᲚᲣᲚᲐᲛᲓᲘ ყოველ წელიწადს 144,6 კუბიკური ოთხ-კუთხი) საჟენი სჩებენი (დამტვრეული ქვა) და სამი წლის განმავლობაში 433,8 საჟ.—თითო საჟენი 16 მანეთად, სულ 6,940 მან. და 80 კაპ. ბ) ᲡᲐᲚᲐᲜᲚᲣᲚᲘᲓᲐᲛ ᲜᲝᲕᲝ-ᲐᲥᲡᲢᲐᲤᲐᲛᲓᲘ ყოველ წელიწადს 546,96 კუბიკ. საჟენი, სულ 1640,88 საჟ. და თითო საჟენი—22 მან., სულ 36,099 მანეთის და 36 კაპეიკის.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲣᲩᲐᲡᲢᲙᲐᲨᲘ: ᲜᲝᲕᲝ-ᲐᲥᲡᲢᲘᲤᲘᲓᲐᲛ ᲓᲔᲚᲘᲯᲐᲜᲘᲓᲐᲛᲓᲘ წელიწადში 379 კუბიკ. საჟ., სულ 1,137 საჟ; თითო საჟენი—14 მან. სულ 15,926 მანეთის და 379 საჟ. ქვიშა, თითო საჟენი 7 მანეთად. 2) ᲓᲔᲚᲘᲯᲐᲜᲘᲓᲐᲛ ᲒᲐᲛᲖᲐᲩᲛᲘᲜᲐᲛᲓᲘ წელიწადში 90 კუბიკ. საჟ. ქვა—საჟ. 14 მან. და 36 ქვიშა, საჟ.—7 მან. 3) ᲒᲐᲛᲖᲐᲩᲛᲘᲜᲘᲓᲐᲛ ᲙᲐᲠᲐᲙᲚᲘᲡᲐᲛᲓᲘ ამავე ანგარიშით.

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲣᲩᲐᲡᲢᲙᲐᲨᲘ: ᲓᲔᲚᲘᲯᲐᲜᲘᲓᲐᲛ ᲔᲠᲔᲕᲜᲐᲛᲓᲘ საჭიროა ყოველ წელიწადს 600 კუბიკური საჟენი სჩებენი და სამ წელს 1,800 საჟ., თითო საჟენი—14 მან. სულ 25,000 მანეთისა.

მსურველთა უნდა გამოგზავნონ განცხადება მთავარ სამმართველოს კანცელარიაში ამ წლის 5-ს სექტემბრამდინ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲘ
ᲝᲫᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲡᲔᲡᲮᲔᲑᲔᲚ-ᲨᲔᲛᲜᲐᲮᲕᲔᲚᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲒᲘᲡᲐ
1-ს იანვრიდამ 1-ს იელისამდის 1875 წლისა.

(ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ 21-ს მარტს 1874 წ., 21-ს დამფუძნებლებისაგან სესხით 1500 მ. და 116 წევრისაგან 690 მან. და 60 კაპ., სულ 2190 მან. 60 კაპ.)

ᲐᲥᲢᲘᲕᲘ	მან.	პ.
1) ᲙᲐᲡᲡᲐ.	156	9½
2) სესხი მიცემული 176 წევრზე	6907	„
3) სარგებელი მიცემული ვადაზედ წინ გადახდილი ნასესხისა.	5	5
4) ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში. . .	155	30
5) სარგებელი მიცემული ნასესხებზედ	164	22
6) სამმართველოს ხარჯი .	179	7½
7) სათადარიგო თანხა . .	3	3
ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲘ. .	7569	77

ᲞᲐᲡᲡᲘᲕᲘ	მან.	კ.
1) წილის ფული შემოტანილი 373 წევრისაგან. . .	2896	40
2) სასარგებლოდ შემოტანილი	40	„
3) სესხები აღებული ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ კრედიტის დაწესებათაგან და კერძო პირთაგან. . . .	4225	„
4) სარგებელი აღებულა .	385	24
5) ჯარიმა აღებულა. . .	14	80
6) სხვა და სხვა შემოსავალი.	5	30
7) სათადარიგო თანხა . .	3	3
	7569	77

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ: ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ შეიყრება ხოლმე კვირაობით და ორშაბათობით დილის 9 საათიდამ 2-ს საათამდის შუადღისა, და საღამოთი 4-ს საათიდამ 10 საათამდის. ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲝᲑᲐ აძლევს სარგებლებს სასარგებლოდ შემოტანილ ფულზედ ვადით არა ნაკლებ 3 თვისა 6% ანუ ასზედ ექვსს, და წლის ვადისაზედ და მომეტებულზედ 7% ანუ შვიდს ასზედ.

ᲗᲕᲘᲗᲝᲜ იღებს სარგებელს გასესხებულ ფულზედ 12% ანუ ასზედ თორმეტსა.

ᲒᲐᲛᲒᲔᲜᲘ: Მ. ᲥᲐᲓᲐᲒᲝᲪᲕᲘ
და Გ. ᲝᲡᲔᲤᲝᲪᲕᲘ

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲔᲥᲕᲗᲐᲛᲔᲠᲘᲡ ᲮᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ, ᲒᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲡᲖᲔ,—ᲑᲔᲑᲣᲗᲝᲕᲘᲡᲔᲡ სახლში:

ᲡᲐᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲝ ᲙᲝᲚᲜᲐ

პირველ-დაწყებითი მოთხრობებისა
ᲒᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲗᲘᲡ
შედგენილი ᲘᲐᲙᲝᲑ ᲑᲝᲒᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ
გამოცემული სტ. ᲖᲐᲠᲤᲝᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ
ᲤᲐᲡᲘ ᲮᲣᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ

ᲣᲤ. ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲨᲘ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ მეორე გამოცემა ᲥᲐᲠᲗᲣᲚ-ᲤᲠᲐᲜᲪᲣᲖᲣᲚ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲘᲡᲐ, რომელიც შედგენილია ᲘᲕ. ᲠᲝᲢᲜᲘᲐᲜᲪᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲤᲐᲡᲘ ერთი აბაზი.

ᲨᲐᲒᲐᲡ ᲝᲠᲚᲘᲡ საყმაწვილო ბაღში და პირველ დაწყობით მკოლაში ᲡᲬᲐᲕᲚᲐ 1 სექტემბერს დაიწყება იმავე სადგომში (სოლოლაკზე, ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲡᲖᲔ, მირზოევის სახლებში).

მიიღება ყმაწვილები არა უხნიერეს თორმეტის წლისა, შემდეგის პირობით:

1) ᲡᲐᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲝ ᲑᲐᲦᲨᲘ მიიღებიან ყმაწვილები არა უხნიერეს შვიდის წლისა და სწავლობენ დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2-მდი.

2) სწავლის ფასი საყმაწვილო ბალის ყმაწვილებისა არის თვეში 4 მან. ᲐᲛᲐᲡ გარდა წელიწადში 3 მან. უნდა შემოიტანონ სხვა და სხვა საათამაშო ნივთების ფასად.

3) სწავლის ფასი ყოველ თვის 1 რიცხვს უნდა შემოიტანონ წინათვე.

4) ᲨᲙᲝᲚᲐ რუსეთის საშუალ სასწავლებლების 1 და 2 კლასისთვის ამზადებს ყმაწვილებს.

5) წლევანდელი წლიდამ შკოლა სამ კლასათ არის გაყოფილი. პირველში შვიდი წლის ყმაწვილები მიიღებიან უეგზამენოთ. მეორე და მესამე კლასში მისაღებათ კი ეგზამენი არის საჭირო.

6) ᲨᲙᲝᲚᲐᲨᲘ შემდეგ საგნებს ასწავლიან: მმართლმადიდებლებისა და სომხების სარწმუნოების სამღვთო წერილს, ენებს: რუსულს, სომხურს (სომხებს), და ფრანცუზულს; არითმეტიკას, ხილვით სწავლას, გეოგრაფიას, წერას, ხატვას და ხელ-საქნარს.

7) სწავლა ᲨᲙᲝᲚᲐᲨᲘ 1 სექტემბერს იწყება და 1 ივნისს თავდება, დილის 9 საათიდამ 2 საათამდე (კვირასა და უქმ დღეებს გარდა).

8) ᲨᲙᲝᲚᲐᲨᲘ სწავლისათვის შაგირდმა წელიწადში 60 მანეთი უნდა გადიხადოს, 30 მანეთი შესელისათანავე და დანარჩენი 30 მან. იანვრის 7-ს. ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘ, რომელთაც ერთ ყმაწვილზე მეტი ჰყავთ ᲨᲙᲝᲚᲐᲨᲘ, იხდიან: პირველისათვის—60 მანეთს, მეორესთვის—50 და მესამესა და დანარჩენისათვის—40 მანეთს.

9) ᲐᲛ ექვს თუმანს გარდა, ყოველმა შაგირდმა 5 მან. უნდა შემოიტანოს კიდევ საწერი კუთვნილებისათვის.

რადგანაც ახლა უფრო ერცელი და მოთავსებული სადგომი აქვს, ამის გამო ᲨᲐᲒᲐᲡ შეუძლიან ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ-ᲞᲐᲜᲡᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘᲡ მიიღოს თავის სასწავლებელში, რომელთაც წელიწადში—200 მანეთი უნდა შემოიტანონ, 100 მანეთი შესელისათანავე და ასიც იანვრის 7-ს.

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲞᲐᲜᲡᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘ დილიდამ საღამოს შვიდ საათამდინ დარჩებიან შკოლაში და აქვე ისაუზმებენ და სადილს სჭამენ. ᲐᲛᲐᲗ ასწავლიან აგრეთვე პრაქტიკულად ფრანცუზულ ენას და, მასწავლებელი ქალის ხელძღვანელობით, მეორე დღის გაკვეთილებს (ურროკებს) მოამზადებენ.

მსურველთ შეუძლიანთ აგრეთვე ნემეცური ენაც ისწავლონ,—ამისთვის სხვა პირობებია.

ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘ, რომელნიც მოისურვებენ, იმათ შვილებმა პრაქტიკულად ისწავლონ ფრანცუზული ენა და საუზმე-სადილად არ დასტოვებენ შკოლაში, სწავლის ფასი 30 მანეთი უნდა დაუმატონ წელიწადში.

ᲠᲙ. ᲒᲖᲐ.	ᲓᲘᲚᲐ.		ᲡᲐᲦᲐᲛ.		II კ.		III კ.	
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ .	8	18	8	17				
ᲛᲪᲮᲔᲗᲐ. . .	9	18	10	—	-	68	-	38
ᲒᲝᲠᲘ . .	11	39	1	43	2	40	1	23
ᲡᲣᲠᲐᲛᲘ . .	1	52	4	30	3	92	2	18
ᲑᲔᲭᲐᲗᲣᲑᲐᲜᲘ	3	45			4	42	2	46
ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲐ .	6	49			5	81	3	23
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. .	7	55			6	75	3	75
ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ .	9	2			7	73	4	29
ᲐᲮ.-ᲡᲔᲜᲐᲙᲘ .	10				8	57	4	76
ᲨᲝᲗᲘ. . .	11				9	75	5	42
ᲨᲝᲗᲘ . .	7	38						
ᲐᲮ.-ᲡᲔᲜᲐᲙᲘ.	9	11			1	18	-	66
ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ.	10	12			2	6	1	14
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ .	11	17			3	4	1	69
ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲐ.	12	38			3	98	2	21
ᲑᲔᲭᲐᲗᲣᲑᲐᲜᲘ	3	27	ღამე		5	33	2	96
ᲡᲣᲠᲐᲛᲘ . .	4	57	12	30	5	84	3	24
ᲒᲝᲠᲘ . .	7	23	3	31	7	36	4	9
ᲛᲪᲮᲔᲗᲐ . .	9	52			9	8	5	4
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ .	10	49	8	2	9	75	5	42

ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲔᲛᲔᲑᲘ

ა) ᲨᲝᲗᲘᲓᲐᲛ:
ᲝᲠᲨᲐᲑ. ᲓᲘᲚᲘᲡ 8 ᲡᲐᲐᲗ. ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲡ—ᲙᲕᲘᲠᲐᲝᲑᲘᲗ ᲓᲘᲚᲐᲡ.

ᲑᲐ) ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲓᲐᲛ:
ᲨᲝᲗᲡ—ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲡ, ᲚᲐᲛᲘᲗ.
ᲝᲠᲨᲐᲑ—ᲙᲕᲘᲠᲐᲡ, ᲒᲐᲗᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐᲡ.

ᲨᲝᲗᲘᲓᲐᲛ:	I		II		III	
ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲓᲐᲛ .	4	„	3	„	1	„
ᲥᲔᲠᲩᲐᲛᲓᲘ. .	20	50	15	50	5	„
ᲢᲐᲒᲐᲜᲠᲝ�გ.	34	„	27	„	8	60
ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲛᲓᲘ.	38	„	30	„	9	60

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ

	მ.	კაპ
ᲝᲪᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ:		
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲡ, ᲨᲝᲗᲡ . .	1	—
ᲒᲝᲠᲡ, ᲓᲣᲨᲔᲗᲡ, ᲡᲘᲚᲜᲐᲮᲡ		50
ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲡ ᲝᲠᲨᲐᲑᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ	2	—
ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲡ, ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐᲡ . .	2	—
ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲨᲘ, ᲨᲕᲔᲪᲐᲠᲘᲐᲨᲘ	3	—
ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ.	3	50
ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲨᲘ.	3	75

ᲤᲝᲡᲢᲐ

ა) ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ:
ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲗ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲡ, ᲠᲣᲡᲔᲗᲡ—ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ. ᲖᲣᲒᲓ. ᲝᲗᲮᲨ., ᲝᲠᲨᲣᲠᲒᲔᲗᲡ — ᲞᲐᲠᲐᲡᲙ და ᲝᲠᲨᲐᲑ. ᲑᲐᲥᲝᲡ — ᲝᲠᲨ. ᲡᲐᲛᲨᲐᲤ. და ᲨᲐᲑ. ᲥᲐᲮᲔᲗᲡ — ᲡᲐᲛᲨ. და ᲨᲐᲑ.

Ბ) ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛ:
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐ და ᲨᲝᲗᲘᲡᲐᲙᲔᲜ—ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ. ᲝᲠᲨᲣᲠᲒᲔᲗᲡ—ᲝᲠᲨ. და ᲞᲐᲠᲐᲡᲙ. ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲡ—ᲝᲗᲮᲨᲐᲑ.

Გ) ᲒᲝᲠᲘᲓᲐᲛ.
ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ.

Დ) ᲨᲝᲗᲘᲓᲐᲛ:
ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲗ:	კაპ
ᲚᲘᲐ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ	4
ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲡ (ᲡᲐᲛᲘ ᲛᲘᲡᲮᲐᲚᲘ) .	8

ᲑᲘᲠᲟᲐ

	მან.	კაპ
�პᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 28 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ.		
ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲚᲘᲠᲘᲡ:		
ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ 33⅛ ᲞᲔᲜᲡᲘ.	—	84
ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ 349½ ᲡᲐᲜᲢᲘᲛᲘ.	—	89
ᲛᲡᲙᲝᲜᲢᲘ (ᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲘᲡᲤᲐᲡᲘ)	6	—
ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲘ 5%	99	75
ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ (ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡᲡᲔᲡᲮᲘ)	238	—
ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ (ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲔᲡᲮᲘ)	238	—
ᲒᲘᲠᲐᲝᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘ:		
ᲗᲤᲘᲚ. ᲡᲐᲐᲖᲜ. ᲑᲐᲜᲙᲘᲡᲐ.		
ᲮᲔᲠᲡᲝᲜᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ (5½)	87	85
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ (5%). . . .	86	50
ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ:		
ᲝᲠᲨᲐᲑᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ.	213	—
ᲨᲝᲗᲘ-ᲗᲤᲘᲚ. ᲠᲙᲘᲜ. ᲒᲖᲘᲡ	133	—
ᲨᲐᲕᲘᲖᲦᲕᲘᲡ ᲪᲔᲪᲮ. ᲒᲕᲛᲔᲑᲘᲡ	560	—
ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘᲡ. .	168	—
ᲞᲘᲠᲕ. ᲡᲐᲖᲦᲕᲔᲕ. ᲡᲐᲖᲝ�გ.	665	—
ᲞᲔᲢᲔᲠᲑ. ᲡᲐᲖᲦᲕᲔᲕ. ᲡᲐᲖ.	263	—
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲔᲕ. ᲡᲐᲖ.	257	65

ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ

	მან	კაპ
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ, 5 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ		
ᲞᲣᲠᲘ ᲨᲝᲠᲐᲒᲐᲚᲘᲡ ᲤᲗ.	1	15
ᲥᲔᲠᲘ ᲤᲣᲗᲘ. . . .	—	60
ᲑᲐᲛᲑᲐ ᲛᲠᲔᲕᲜᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗᲘ .	4	50
—ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗᲘ. .	4	50
ᲒᲐᲠᲔᲜᲢᲘᲚᲘ ᲑᲐᲛᲑᲐ ᲤᲗ.	8	—
ᲛᲐᲢᲧᲚᲘ ᲗᲣᲨᲣᲠᲘ ᲤᲗ .	7	80
—ᲗᲐᲠᲐᲥᲐᲜᲘᲡᲐ ᲤᲗ. .	4	50
ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘ ᲜᲣᲮᲣᲠᲘ ᲒᲠ.	2	60
ᲥᲝᲜᲘ, ᲤᲣᲗᲘ. . .	4	—
ᲥᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ.	5	60
ᲡᲢᲔᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ, Ფ.	10	40
ᲮᲝᲠᲪᲘ ᲫᲝᲠᲮᲘᲡᲐ, ᲚᲘᲢ.	—	55
—ᲪᲮᲕᲠᲘᲡᲐ, ᲚᲘᲢᲠᲐ. .	—	65
ᲡᲞᲘᲠᲢᲘ, ᲕᲔᲓᲠᲝ. . .	6	60
ᲨᲐᲥᲐᲠᲘ, ᲑᲠᲝᲪ. ᲤᲣᲗᲘ .	8	40
—ᲤᲮᲕᲜᲘᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ . .	6	80
ᲣᲐᲕᲐ ᲒᲠᲒᲕᲐᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ .	19	—
ᲖᲔᲗᲘ ᲥᲣᲜᲯᲣᲗᲘᲡᲐ ᲤᲗ.	6	—
ᲝᲥᲠᲝ ½ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘ. .	5	89

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Августа 1875 г. Типографія Меликова и К°. ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Ს. ᲛᲔᲡᲮᲘ.